სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 01

2018 წ. "16" 02

ქ.თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2018 წლის 8 თებერვალს სააპელაციო საბჭოს წარედგინა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №137037) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 10 იანვრის №2 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 28^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის №137037 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი